„სამშობლო დედის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა..."

# ოდიში

1991
სამშაბათი
26
ნოემბერი
№ 128 (10511)
ფასი 5 კაპ.

ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურისა და საკრებულოს ორგანო

გაზეთი გამოდის

## გეზი ეკონომიკის ლიბერალიზაციისაკენ

### უნდა შევძლოთ ახლებური აზროვნება და მოქმედება.

საქართველოში ამჟამად მიმდინარე მოვლენები ღრმად დამაფიქრებელია. თვით პროცესი იმდენად დინამიური და მრავალგანზომილებიანია, რომ საჭიროა ნებისმიერ რგოლში შექმნილ ვითარებას დიფერენცირებული გადაწყვეტა მოეძებნოს.

რესპუბლიკაში შეიქმნა უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ წარმოებისა და მოხმარების კრიზისი ურთულეს ვითარებას ქმნის სახელმწიფო ბიუჯეტის სფეროში, რომლის დეფიციტი 1991 წელს 2 მილიარდ მანეთს აღწევს. ყოველივე ამას ემატება ის ექსტრემალური ატმოსფერო, რასაც გვიქმნიან ჩვენი შინაური და გარეშე მტრები. გარკვეული ძალები ფარულ ალიანსს ქმნიან ცენტრთან, რათა დემოკრატიული გარდაქმნების მოჩვენებითი ლოზუნგით დაწოლა განახორციელონ საქართველოს კანონიერ ხელისუფლებაზე და ქართველ ხალხს თავს მოახვიონ იმპერიული მზაკვრული პოლიტიკა. აბა რომელ ჩვენგანს შეუძლია აღშფოთების გარეშე მოისმინოს ინფორმაციები სამაჩაბლოში შექმნილ ვითარებაზე. ოსი ექსტრემისტებისა და იმპერიული სამხედრო ძალების ერთობლივი მოქმედებით აქ სახეზეა აგრესიის ესკალაცია, იღვრება სისხლი, ჩვენი მრავალტანჯული ქვეყანა ფაქტიურად საომარ მოქმედებაშია ჩათრეული. სავსებით რეალურ და მამულიშვილურ მოწოდებად აღიქვამს დიდი და პატარა ბატონ ზვიად გამსახურდიას მიერ მრავალათასიან მიტინგებზე დარისხებულ განგაშის ზარს ეროვნული შეკავშირებისა და უცხო ჯურის მტერთა მხილებისაკენ. ყალიბდება საინიციატივო ჯგუფები, მოხალისეთა რაზმები შექმნილი სახიფათო კრიმინოგენური სიტუაციის განმუხტვისათვის. კონკრეტული ღონისძიებები ტარდება ამ მიმართულებით ჩვენს რეგიონშიც, რომელსაც თავისი ერთსულოვნებით, პატრიოტული ძალისხმევით ყოველთვის შეუტანია თავისი წონადი წვლილი ხახალხო მღელვარებათა სტაბილიზაციის საქმეში.

მაგრამ ამდაგვარ ექსტრემალურ პირობებში უპირველეს ამოცანად ისევ და ისევ რჩება პარალიზებული სახალხო მეურნეობის ჩიხიდან გამოყვანა. მოსახლეობისათვის ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად აუცილებელია ეროვნულმა ეკონომიკამ მეტნაკლები სიმწყობრით იფუნქციონიროს. ყოველი ღონე უნდა მოხმარდეს იმის მცდელობას, რომ მაქსიმალურად ავიცდინოთ თავიდან უწესრიგობის, განუკითხაობის მომენტები. უნდა გაგრძელდეს აუცილებელ ორგანიზაციულ ღონისძიებათა გატარება ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ხელმძღვანელობის რადიკალური გარდაქმნისათვის. წარმოების გადამწყვეტ უბნებზე უნდა მოვიდნენ ახალი, ენერგიული პიროვნებები, რომელთაც ძალუძთ არასტანდარტული აზროვნება და ცხოვრებაში საბაზრო მექანიზმების გაბედულად დამკვიდრება.

სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშაკებს უდიდეს დახმარებას გაუწევს ამ დღეებში პრესაში გამოქვეყნებული პროექტი, რომელშიც სკრუპულოზურად არის გადმოცემული 1991-1992 წლებში საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანისა და ვითარების სტაბილიზების ღონისძიებათა პროგრამა. ეს დოკუმენტი საიმედო გზამკვლევად უნდა იქცეს ნებისმიერი დონის ხელმძღვანელისათვის, რომელთაც დრო და ქვეყნის ინტერესები ავალებს გაატარონ ენერგიული ღონისძიებები მართვის ახალი სტრუქტურების ჩამოყალიბებლად. დღის წესრიგში დგება სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობისა და მართვის დარგობრივი დემონოპოლიზაციის პროცესის კომპეტენტურად წარმართვა პრეფექტურების დონეზე. გარკვეული დინამიზმი უნდა მიენიჭოს საწარმოთა პრივატიზების პროცესს, გეგმაზომიერად, კონკრეტული ვადებისა და სამუშაოთა მოცულობების ჩვენებით უნდა წარვმართოთ იგი, რათა თავიდან ავიცილოთ სამეურნეო კავშირების მოშლა, წარმოებისა და მომსახურების მკვეთრი შემცირება, მოსახლეობის ფართო ფენების ისედაც მწირი საარსებო პირობების კიდევ უფრო გაუარესება.

ჩვენს მღელვარე დროში, დაძაბულ ფიქრსა და დღენიადაგ რუდუნებაში ტანჯვა-წვალებით შენდება დამოუკიდებელი საქართველოს ფაქტიურად ახალი ეკონომიკა. და ამ ძლევამოსილ პროცესში განუზომლად დიდია პრეფექტურების როლი. ტერიტორიული ხელმძღვანელობის ამ ახლად შექმნილმა პროგრესულმა სტრუქტურებმა უნდა მოახერხონ საერთო ეროვნული და ადგილობრივი ინტერესების ოპტიმალური შეხამება, ქვემდებარე ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობის მიზანმიმართული კოორდინაცია. ამ მხრივ ჩვენი პრეფექტურა გარკვეულ მიზანმიმართულ მუშაობას ეწევა. დამკვიდრდა მეურნეობრივი განვითარების პროგნოზების შედგენის და სამეურნეო შედეგების რეგულარული განხილვის პრაქტიკა. ამის მაგალითად გამოდგება თუნდაც 16 ნოემბრის გაზეთ „ოდიშში" გამოქვეყნებული ვრცელი ანგარიში.

ჩვენს წინ რთული და საინტერესო პროცესები მიმდინარეობს. სამრეწველო, თუ სასოფლო-სამეურნეო საწარმოები თანდათან იცვლიან ოგრანიზაციულ ფორმებს, გადადიან ახალ სტრუქტურებზე. ადგილებზე იქმნება სააქციო, საიჯარო საზოგადოებები, კოოპერატივები, ფერმერული მეურნეობები, აგროფირმები და ა. შ. ამ მხრივ გარკვეული ძვრები შეინიშნება „საქქალალდმრეწვის" საწარმოო გაერთიანებაში, ჩაის ექსპერიმენტალურ ფაბრიკაში, ნარაზენის, ახალაბასთუმნის კოლმეურნეობებში, ზედაეწერის, ინგირის საზოგადოებრივ მეურნეობებში და ზოგიერთ სხვა კოლექტივში.

ეს მუშაობა დღითიდღე უფრო უნდა გაძლიერდეს და თითოეული ჩვენგანის წვლილი ამ საშვილიშვილო საქმეში სულ უფრო და უფრო წონადი და მნიშვნელოვანი უნდა გახდეს.

## „კათარზისის" რეგიონალური ორგანიზაციის კონფერენცია

ამა წლის 15 ნოემბერს გაიმართა საქართველოს ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისის" ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციის კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ სრულიად საქართველოს ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისის" პრეზიდენტი ზ. ოლადაშვილი, მსოფლიო ჩემპიონი კრივში ზ. ფალიანი (რომელიც თავის ყველა გამარჯვებას უძღვნის „კათარზისს"), საკრებულოთა გამგებლები, საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები.

კონფერენციის დღის წესრიგში წარმოდგენილი იყო შემდეგი საკითხები: ა) ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ; ბ) წესდების პროექტის განხილვა და დამტკიცება; გ) არჩევნები.

გაწეული მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენებით წარსდგა ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისის" ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე ლ. ნარუშვილი. საკითხების განხილვაში მონაწილეობდნენ და სიტყვით გამოვიდნენ: ქალაქის რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი ნ. წასიძე, ვეტერანი პედაგოგი ი. ქვანია, ექიმები ნ. მაქაცარია, მ. ჯალაღონია, ზ. თოლორაია, სტომატოლოგი გ. დანელია, კახათის საკრებულოს გამგებელი თ. ჩახაია და სხვები.

კონფერენციამ აირჩია ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისის" ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობა, სათათბირო. გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ლია ნარუშვილი.

კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა საქართველოს მთავრობისა და ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტისადმი, რომელშიც ნათქვამია: დაფუძნდეს ზუგდიდში სამეგრელოს რეგიონის სათნოების სახლი, რომელიც იქნებოდა მაკოორდინერებელი ცენტრი და სადაც უფასო მომსახურება გაეწეოდა უკიდურესად გაჭირვებულებს, მიუსაფრებსა და მარტოხელებს. შენობისა და მიწის ნაკვეთის გამოყოფაზე დახმარება ეთხოვა რესპუბლიკის მთავრობასა და ადგილობრივ ხელისუფალთ. კონფერენციამ კმაყოფილებით მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ კახათის საკრებულოს გადაწყვეტილებით სოფლის ტერიტორიაზე 2 ჰექტარი მიწის ფართობი გამოეყო „კათარზისის" ზუგდიდის რეგიონალურ ორგანიზაციას.

---

1991 წლის 29 ნოემბერს დღის 15 საათზე მოწვეულია ქალაქ ზუგდიდის საკრებულოს მესამე სესია. სესია ჩატარდება დავით აღმაშენებლის ქ. № 28 მე-4 სართულზე, სხდომის დარბაზში (პრეფექტურის შენობა).

---

## შეხვედრა ჟურნალისტებთან

20 ნოემბერს მინისტრთა საბჭოს სხდომათა დარბაზში, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ბატონი ზვიად გამსახურდია შეხვდა მასობრივი ინფორმაციის წარმომადგენლებს — ქართველ ჟურნალისტებს. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი, უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე თეიმურაზ ქორიძე, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მდივანი ზაურ გომართელი.

შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოებრიობას გააცნეს მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება საინფორმაციო სააგენტოს — საქინფორმის გაუქმების შესახებ. აქვე დაისვა საკითხი, რომ საქინფორმის მაგივრად უნდა შეიქმნას თანამედროვე საინფორმაციო სააგენტო, რომელიც ოპერატიულად, მიზანდასახულად, მაღალ პროფესიულ დონეზე მოამზადებს მასალებს, რათა შეებრძოლოს იმ დეზინფორმაციას და ცილისწამებას, რაც საქართველოს შესახებ იწერება ჩვენი ქვეყნის გარეთ და რაშიც დიდი წვლილი, სამწუხაროდ, ჩვენს თანამემამულეებსაც მიუძღვით.

შეხვედრაზე გაიმართა მწვავე, გულახდილი საუბარი შექმნილი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე ქართველი ჟურნალისტების მიზნებსა და ამოცანებზე, მათ უდიდეს როლზე ჩვენი დღევანდელობის ობიექტურად გაშუქებასა და მართებული საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების საქმეში.

## ამოცანა: ეროვნული ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანა

ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს ეკონომიკის მართვის რეორგანიზაციის, ალებურ სამეურნეო ურთიერთობათა რეგულირების ურთულესი პროცესი. შემუშავდა 1991-1992 წლებში საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანისა და ვითარების სტაბილიზების ღონისძიებათა პროგრამა. ახლა თითოეული საწარმო გულმოდგინედ ეძებს თავის დროზე ცენტრის მიერ მჭიდროდ ინტეგრირებული სამეურნეო კომპლექსიდან თავის დაღწევის, ავტონომიური ფუნქციონირების ყველაზე მობილურ გზებსა და საშუალებებს, რათა შეინარჩუნოს წარმოების დონე, ექნოს პირობები სამეურნეო აქტივობისა და თავისუფალი მეწარმეობის განვითარებისათვის.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლისა და ეკონომიკის ლიბერალიზაციის ღონისძიებებზე და თანმხლებ სიძნელეებზე ვესაუბრეთ სარემონტო-მექანიკური საწარმო-კოოპერატივის დირექტორს ა. ქუჩულორიას:

— პირველ რიგში გავარკვიოთ საკითხი, თუ რა ბერკეტებით აპირებთ კონკრეტულად თქვენი საწარმოს სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფას? მოგეხსენებათ, რომ საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის ღონისძიებათა პროგრამაში საწარმოთა ფინანსური გაჯანსაღება საკვანძო ამოცანად არის მიჩნეული.

—ჩვენს საწარმოს, ისე როგორც ათეულობით სხვას რესპუბლიკაში, დიდად შეუშალა ხელი საერთოდ შექმნილმა სოციალურ-პოლიტიკურმა სიტუაციამ. როგორც მკითხველისთვის ცნობილია, თითქმის პარალიზებულია საწარმოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ცენტრალიზებული სისტემა. ცნება „ფონდები" დავიწყებას ეძლევა. ეს მომენტი მკარნახობს დამოუკიდებლად ვეძებოთ გზები პარტნიორებთან თანამშრომლობისთვის, ორგანიზაციული მართვის ახალი სტრუქტურის საბაზრო მექანიზმების სამეურნეო ბრუნვაში თამამად ჩართვისათვის. დღეისათვის საწარმოში ყველა ძირეული რგოლი ფუნქციონირებს სამეურნეო ანგარიშის პრინციპზე, რეალურ სახეს იღებს თვითმმართველობის ნორმატიული მოთხოვნები.

ამ ცოტა ხნის წინათ კოლექტივის წინაშე გაჩნდა რეალური პერსპექტივა გვეწარმოებინა პოლიეთილენის ნაწარმი, რომელიც მნიშვნელოვანწილად გააუმჯობესებდა ჩვენს ფინანსურ მდგომარეობას. მაგრამ რუსეთის ტერიტორიაზე მდებარე მომწოდებლებმა შეგნებულად აარიდეს თავი სათანადო ნედლეულით წარმოების მომარაგებაზე. მიუხედავად ამისა, ფარხმალს არ ვყრით და ვცდილობთ გამოვძებნოთ ორგანიზაცია, რომელიც უფრო ხელსაყრელ ფასებში მოგვაწვდის ნედლეულს.

აქ მინდა პირდაპირ გამოვხატო გაოცება და გულისტკივილიც იმ ჩაის მწარმოებელი ორგანიზაციების მიმართ, რომელთაც საქმიანობა შევუსრულეთ, მაგრამ გადახდას გვიჭიანურებენ. ეს კი დაღს ასვამს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას. გარკვეული სიძნელეები გველობება ელექტროდების წარმოების საქმეში. ვიმედოვნებთ, რომ სათანადო ორგანოებში დასმული საკითხები რეალურ შედეგს გამოიღებს.

ზემოთაღნიშნული სიძნელეების ფონზე საწარმომ შეძლო პროგნოზით გათვალისწინებულ მოცულობას მივახლოებოდით. შესრულებული სამუშაოების ანალიზების სფეროშიც თავიდან ავიცილეთ გართულებები.

—ამჟამად ეროვნული მეურნეობის მრავალ რგოლში ხდება ცალკეულ საწარმოთა პრივატიზება. ეკონომიკაში მკვიდრდება საკუთრების სხვადასხვა ფორმა, მათ შორის საიჯარო-აქციონერული, სახელმწიფო-კოლექტიური და ა. შ. რომელ მოდელზე შეაჩერეთ თქვენ ყურადღება და საერთოდ გაქვთ თუ არა რაიმე ხელშესახები ძვრები საბაზრო სტრუქტურების ფორმირების საქმეში?

—ჩვენს საწარმოში ბოლო დროს ჩატარებული საფუძვლიანი ანალიზური მუშაობის შედეგად გადავწყვიტეთ შეგვექმნა მმართველობის კოოპერატიული ფორმა, რომლის საფუძველი გახდებოდა იჯარული ურთიერთობის პრინციპი. ვფიქრობთ რა პრივატიზაციის კანონზომიერ პროცესზე, უახლოეს ხანში ალბათ არჩევანს შევაჩერებთ ამხანაგური საწარმოს მოდელზე. ეს ფორმა, ჩვენივარაუდით გარკვეულწილად დაგვეხმარება. საწარმოს წინაშე თავჩენილი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების აღმოფხვრის შედარებით ეფექტური ღონისძიებების გატარებაში.

—მთავრობის მიერ შემუშავებული რესურსული უზრუნველყოფის პროგრამა ითვალისწინებს ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან, ცალკეულ მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან ტრადიციული პირდაპირი კავშირების შენარჩუნებას და გაფართოებას. რა მუშაობას ატარებთ ამ მიმართულებით?

—ჩვენ კარგად ვიცნობიერებთ იმის საჭიროებას, რომ საწარმოსათვის აუცილებელი ნედლეულის, მასალების, სათბობის და მაკომპლექტებელ ნაკეთობათა მიღების მიზნით უნდა გამოინახოს გზები რესპუბ[illegible]ლი იმ პროდ[illegible]ვის, რომელზეც საგარეო ბაზარზე დიდი მოთხოვნილებაა. ყველაფერს ვღონობთ საიმისოდ, რომ შედარებით სტაბილურ პარტნიორებთან — დნეპროპეტროვსკთან, ოდესასთან, დონეცკთან შევინარჩუნოთ საქმიანი ურთიერთობები. მაგრამ ასეთ კონტაქტებს ჩვენის აზრით დღეს არ ძალუძს საიმედო გარანტიების მოცემა. ამიტომ ვთვლით მიზანშეწონილად ქალაქისა და რაიონის მასშტაბით ჩამოყალიბდეს გარკვეული რგოლი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს აქ განლაგებული საწარმო-ორგანიზაციების მოთხოვნილებებს და უზრუნველყოფს პარტნიორებთან მჭიდრო კონტაქტებს. ხოლო გაწეული ხარჯები გაიღება აღნიშნული ორგანიზაციების მიერ. ყველასათვის ცნობილია, რომ ჩვენი ქალაქი რესპუბლიკაში ერთადერთი აწარმოებს ქაღალდს, ფაიფურს, ელექტროდს, ამას ემატება ჩაი, ციტრუსები, თხილი, დაფნა და ა. შ. ამ პროდუქტების ბარტერული გაცვლით მნიშვნელოვნად მოიგებს ჩვენი რეგიონი.

ჩვენს კოლექტივს წინააღმდეგობათა ძლევის გარკვეული გამოცდილება გააჩნია. ვეცდებით ჩვენს ხელთ არსებული ინტელექტუალური, ტექნიკურ-ეკონომიკური რესურსები მაქსიმალურად გამოვიყენოთ დროის მიერ მოწყობილი უმკაცრესი გამოცდის წარმატებით ჩაბარების საქმეში.

ესაუბრა ზ. ცხონდია.

# საბაზრო მექანიზმების ძიებით და დანერგვით

# ბოდიში საქმეს ვერ უშველის...

ანბანური ჭეშმარიტებაა. მკითხველმა გაზეთი თუ გამოიწერა იგი უკლებლივ უნდა მიიღოს. გაზეთის მიუწოდებლობისათვის ბოდიშები და ქათინაურები ხელისმომწერლებს ვერაფერს შველის. არა და დღე არ გავა ისე რომ რედაქციაში ვინმემ არ დარეკოს, ან წერილი არ გამოგზავნოს, კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის მომსახურებით უკმაყოფილონი ვართ. გაზეთ „ოდიშს" კანტიკუნტად ვღებულობთ, ზოგჯერ გვეკარგება კიდეც, გვწერენ ისინი. ნიმუშისათვის ერთი წერილის მოკლე შინაარსს მოგიყვანთ, რომელიც გუშინ ჩვენმა მკითხველმა ა. ხუფენიამ სოფელ დარჩელიდან გამოგვიგზავნა.

„ პატივცემულო რედაქციავ წელს ჩემს ოჯახს 8 დასახელების ჟურნალ გაზეთი აქვს გამოწერილი. მათ შორის „ოდიში" ორი ცალია. ერთი მე გამოვიწერე, ხოლო მეორე ბავშვებს გამოაწერინეს სკოლაში. მეგონა, ერთი თუ დაიკარგებოდა მეორეს მაინც მივიღებდი, ამიტომ ბანკაში არ ავტეხე.

მე პირადად 30 წელია თქვენი გაზეთის მკითხველი ვარ. ჟურნალ გაზეთებს რომ მივიღებ პირველად „ოდიშს" გადავშლი. იმიტომ კი არა, რომ იგი სხვა გაზეთს სჯობია. არა. ამ გაზეთში ჩემი მშობლიური ქალაქისა და რაიონის ყოველდღიური ცხოვრების მაჯისცემა იგრძნობა და როგორ არ უნდა გაინტერესებდე. მე მარტო კი არა ვარ ასე ყველა ჭეშმარიტი ზუგდიდელი უნდა იყოს დაინტერესებული ჩვენი ქალაქისა და რაიონის ყოველდღიური მოვლენებით.

სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ სამ თვეზე მეტია, რაც გაზეთ „ოდიშს" ვერ ვღებულობთ ნორმალურად. ზოგჯერ თვეში ორ სამჯერ თუ მოგვაწვდის დამტარებელი. ამ ბოლო თვეს კი ერთი ნომერიც ვერ მივიღე.

თქვე დალოცვილებო. ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერის კამპანია მიმდინარეობს. ასეთ დროს გაზეთის ნომრების დაკლება იქნება? როგორ გინდათ გააავრცელოთ გაზეთი მომავალი წლისათვის. ვინ გამოიწერს „ოდიშს" თუ კი ხელმოწერი არ იქნება გარანტირებული. ვისა აქვს წყალში გადასაყრელი ფული? არ გიფიქრიათ ამაზე?

ამასწინეთ ფოსტის დამტარებელს ვკითხე. რატომ გვაკლებთ ადგილობრივ გაზეთს მეთქი. მან ასეთი განმარტება მომცა. გაზეთი „ოდიში" შემცირებული ტირაჟით გამოდის, თანაც სამის ნაცვლად კვირაში ორჯერო. მე რასაც მაძლევენ ის მომაქვს, რაც არ მოუციათ რაღა მოგიტანოთო

გთხოვთ გაგვარკვიოთ რაშია საქმე. სწორია თუ არა დამტარებლის განმარტება".

ასეთი შინაარსის წერილები მარტო ერთი და ორი როდი მივიღეთ. მკითხველი სამართლიან საყვედურს გამოთქვამს იმის გამო რომ გაზეთი „ოდიშის" ნომრები სისტემატურად აკლდებათ და ამაში კავშირგაბმულობის რაიონულ კვანძს ადანაშაულებენ.

გვინდა მკითხველმა იცოდეს, რომ ამჯერად კავშირგაბმულობა არაფერ შუაშია. უმორჩილესად გთხოვთ ჩვენს ცოდვებს კავშირგაბმულობას ნუ მიაწერთ. მათ თავიანთიც ეყოფათ.

მიმდინარე წლის 24 აგვისტოს ჩვენი გაზეთის მეშვეობით მკითხველებს ვაუწყებდით რომ მეოთხე კვარტალში ფონდირებული საგაზეთო ქაღალდის მიღების ყოველგვარი იმედი გადაწურულია და წლის ბოლომდე გაზეთი გამოვიდოდა შემცირებული ტირაჟით. ამასთან შეიცვალა გაზეთის გამოშვების გრაფიკიც. სამის ნაცვლად კვირაში გამოდის ორჯერ.

გვჭირა ყველაფერი, მაგრამ გაზეთის დამტარებელმა, მკითხველებმა რა დავაშავეთ. როდემდე უნდა ვიყოთ იმის ფიქრში და ლოდინში მივიღებთ თუ არ მივიღებთ გაზეთს. ყველაფერს ხომ უნდა ჰქონდეს დასასრული. შემოგვედავება მკითხველი.

ხელმომწერთა ამ სამართლიან შენიშვნა-საყვედურს ვიზიარებთ. მაგრამ ისიც გვინდა ვირწმუნოთ რომ ჩვენს გასაჭირს გაგებით შეხვდება მკითხველი და ზურგს არ შეგვაქცევს. გასაჭირი კი ნამდვილად ბევრი გვაქვს. თუ ადრე ცენტრალიზებული წესით გამოგზავნილი ერთი ტონა ფონდირებული ქაღალდის ღირებულება 200-დან 300 მანეთამდე იყო, ამჟამად კომერციულ ბირჟაზე მისი ფასი 10-დან 12 ათას მანეთამდე აღწევს. ფონდირებული ქაღალდით მომარაგებაზე ფიქრიც კი ზედმეტია ეს კი თავისთავად რთული ფინანსური მდგომარეობის წინაშე აყენებს რედაქციას და თუ დროზე რამე არ ვიღონეთ, შექმნილია გაზეთის დახურვის რეალური საფრთხე. ასეთ შემთხვევაში რედაქციას თქვენი დახმარება და თანადგომა სჭირდება. ეს თანადგომა კი გაზეთ „ოდიშზე" ხელმოწერით უნდა გამოვხატოთ.

რამდენიც არ უნდა ვიმართლოთ თავი, დიდ უხერხულობას ვგრძნობთ მკითხველთა წინაშე, როცა მათგან მომავალი წლისათვის ჩვენს გაზეთზე ხელმოწერას ვითხოვთ. მაგრამ გვჯერა შეგნებული მკითხველი ყველაფერს გაგვიგებს და მოგვიტევებს.

ქალაქ ზუგდიდისა და რაიონის პრეფექტურის, საქაღალდემრეწვის საწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელობის აქტიური ჩარევის წყალობით საგაზეთო ქაღალდით მომარაგების პრობლემა მომავალი წლისათვის დადებითად გადაწყვეტილია. ეს კი იმას ნიშნავს რომ ხელმომწერი მომავალი წლიდან უკლებლივ მიიღებს ყველა ნომერს. ახლა კი ჯერი თქვენზეა ძვირფასო მკითხველებო.

ეს წერილი ჩვენი გასაჭირის ერთგვარი აღსარებაც არის და თვითრეკლამაც. კარგად გვესმის რომ გაზეთს დანატრებული ხელმომწერლებისათვის რედაქციის ბოდიშები ბევრს არაფერს ნიშნავს, მაგრამ რა ვქნათ, როცა სხვა გამოსავალი არაფერი დაგვრჩენია. გვინდა ვირწმუნოთ, რომ ჩვენი მკითხველები გაგებით და თანადგომით მოეკიდებიან საქმეს და როგორც ყოველთვის ამჯერადაც არ მოაკლებენ თავის მხარდამჭერას „ოდიშის" რედაქციის კოლექტივს.

## ვაზო ქართულო!...

ვაზის კულტურას ოდითგანვე უვლიდა და ახარებდა ქართველი გლეხი. წლების წინ ქარვისფერი ყურძნით დატვირთული ავტომანქანები მიემართებოდა სამტრესტის ზუგდიდის ღვინის ქარხნისაკენ. იყო „პიკები". თანდათანობით განელდა ვაზის ტრფიალი ამოიძირკვა ამორტიზირებული ძირები, გაშენებაზე კი არავის უზრუნვია. საქმე ის არის, რომ ყურძნის მწარმოებელ საზოგადოებრივ მეურნეობებს შორის თითზე ჩამოსათვლელი დარჩა ოთხადოთხი კოლმეურნეობა, რომლებმაც წელს 52 ტონა ყურძენი მიყიდეს სამტრესტის ღვინის ქარხანას, მათ შორის რიყელებმა —17,8, ჯიხაშკარელებმა—11,1, კოლხიდელებმა—2, შამგონელებმა 22,1 ტონა.

სამტრესტის ღვინის ქარხანა ნედლეულის მიწოდების სიმცირის მიუხედავად წლის ბოლომდე გამოუშვებს მილიონი მანეთის პროდუქციას, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ უარი ვუთხრათ ადგილობრივ წარმოების ნედლეულს.

ვაზს გახსენება უნდა, ვაზს მიხედვა და აღდგენა სჭირდება.

უნდა ვიზრუნოთ მრავალწლიან კულტურებს შორის ამ მირძველი კულტურის აღდგენა-განვითარებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიწა — მის კანონიერ მფლობელს

ქართულმა მიწამ უნდა იპოვოს თავისი პატრონი — ქართველი გლეხი, — ხაზგასმულია კანონის პროექტში მიწის რეფორმის შესახებ, რომლის მიზანია მიწაზე სახელმწიფო საკუთრების დემონოპოლიზაცია, საკუთრების სხვადასხვა ფორმების შემოღება, მისი ნაყოფიერების გადიდება-აღორძინება. პრინციპი ერთია: მიწა საქართველოს ეროვნული სიმდიდრეა. მიწის მესაკუთრე რესპუბლიკაა. მას შეუძლია დააკისროს საჯარო ვალდებულებები.

კანონის პროექტის მიხედვით: მიწა საკუთრებად ან მფლობელობაში გადაეცემათ მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, უცხოელებს კი დროებით სარგებლობაში; მიწის მიღების საშუალება მიეცემათ მათ, ვინც დაამუშავებს მას; უპირატესობა ენიჭება ინდივიდუალური საკუთრების, მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფორმებს; მიწის ადრინდელი მესაკუთრეებისათვის მიწის ნაკვეთების დაბრუნება საკუთრებად ან მფლობელობაში არ დაიშვება. მათ ეს გადაეცემათ საერთო საფუძველზე, ამასთან მხედველობაში მიიღება ტრადიციული, ადათობრივი ნორმები.

სახელმწიფო უზრუნველყოფს მიწის რეფორმის გატარებას ცხოვრებაში. საკუთრების მიხედვით იგი შეიძლება იყოს სახელმწიფო და კერძოც.

სახელმწიფო საკუთრებას შეადგენს ის მიწები, რომელთა ნაყოფიერების ამაღლების მიზნით მას მელიორაციისა და სხვა ღონისძიებებისათვის გაღებული აქვს დიდძალი თანხები. ეს მიწები შეიძლება გაიცეს იჯარით მიწათმოსარგებლეებზე ან ფიზიკურ პირებზე მემკვიდრეობის უფლებით: სახელმწიფო საკუთრებად რჩება ის მიწები, რომლებიც რესპუბლიკისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. მოქალაქეთა საკუთრება შეიძლება იყოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის გათვალისწინებული მიწა, საკარმიდამო, საბაღე, სააგარაკო მიწები, საცხოვრებელი სახლის მშენებლობისა და ამხანაგობების საჭიროებისათვის.

მიწა საკუთრებად გადადის საკუთრების უფლების მოპოვების პირობით, ხელშეკრულებით, რაც ითვალისწინებს შემდეგ პირობას: მფლობელმა უნდა დაამტკიცოს რომ მას შეუძლია მოუაროს მიწას, მისდიოს მაღალპროდუქტიულ სოფლის მეურნეობას.

პროექტის ერთ-ერთ მუხლში მითითებულია, რომ მიწის მოსარგებლეები, დამმუშავებლები არ უნდა იყვნენ სამსახურში. მიწის დამუშავების მსურველი ოჯახის ერთი წევრი მაინც არ უნდა იყოს სამსახურში. ამ მუხლმა გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა. ქალაქისა და რაიონის პრეფექტის მოადგილე თამაზ ცირამუა ასე განმარტავს: ჩემი აზრით უმჯობესია, საერთოდ არ დაწესდეს ასეთი ნორმები. მიწა უნდა მიეცეს საკუთრებაში მოქალაქეთა ყველა კატეგორიას. არ მიმაჩნია სწორად როცა პროექტში მითითებულია, რომ მიწა არ მიეცემა სახელმწიფო სამსახურში მყოფ პირებს. სხვა საკითხია, ვინ დაკმაყოფილდება პირველ რიგში მიწით — ჩვენ აქ უპირატესობას ვანიჭებთ სოფლის მცხოვრებლებს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

პროექტში განმარტებულია, რომ მფლობელებმა საიმეტრიკულაციო ვადაში უნდა დაამუშაონ მიწა ზედიზედ ორი წელი, ან კარგავენ უფლებას...

მიწაზე მოქალაქეთა საკუთრების უფლების მოპოვებისათვის — განმარტავს ლ. ცირამუა, — საჭირო ვადა, ჩემის აზრით უმჯობესია საერთოდ არ დაწესდეს. ვადის დაწესებით პროექტში მოცემული მიწათსარგებლობის კატეგორია კარგავს თავის მნიშვნელობას. ე. ი. თუ მიწის გადაცემა მოხდება, იგი უნდა გადაეცეს მოქალაქეს პირდაპირ საკუთრებაში. სხვა საქმეა იგი დაამუშავებს თუ არ დაამუშავებს მიწას. თუ მოქალაქე მიწას არ დაამუშავებს იგი რა თქმა უნდა ჩამოერთმევა მას და მფლობელიც კარგავს უფლებას მიწაზე.

პროექტში აღნიშნულია, რომ უვარგისი მიწების გაკეთილშობილებისას მოქალაქე ვადის გარეშე წარმოშობს საკუთრების უფლებას. ამ საკითხს ეხმაურებიან აგრონომები: ლ. კვარაცხელია, ბ. ფანთია, ნ. გოგია და სხვები.

კანონის პროექტში რეფორმის ეტაპები შეიცავს ოთხ დანაყოფს, სადაც განმარტებულია რომ პირველ რიგში აუცილებელია ფონდის ინვენტარიზაცია, კადასტრის (ხარისხობრივი მაჩვენებლების განსაზღვრა), შედგენა, საიმეტრიკულაციო ზონების შექმნა, პროექტების, საზღვრების დადგენა, პროექტის დამტკიცება მიწის რეფორმის რაიონული, საქალაქო კომიტეტების მიერ; ხელშეკრულების გაფორმება რეფორმის კომისიებს შორის და სხვა.

მიწის რეფორმის შესახებ კანონის პროექტის განხილვა მიმდინარეობს ადგილებზე. შენიშვნებსა და წინადადებებს კვლავაც მოველით მკითხველებისაგან.

ზ. აბულაძე.

# აღუდგეს ქუჩას სახელი

ჩვენს ქუჩას რამდენჯერმე გამოეცვალა სახელი. ჯერ „9 მაისის" იყო, შემდეგ გურჯაანის, ჟუკოვის. სახელის გადარქმევა ადრე ყოველთვის მოსახლეობის სურვილის გაუთვალისწინებლად ხდებოდა..

თავის დროზე გურჯაანის ქუჩის სახელი მას დაერქვა სამეგრელოს უკანასკნელი დედოფლის ეკატერინე ჭავჭავაძის მშობლიური რაიონის — გურჯაანის პატივსაცემად. როგორც, ჩვენთვის ცნობილია, გურჯაანში ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩას ზუგდიდის სახელი ჰქვია.

ბოლო ორი წელი კი მეზობლური დავების მიზეზი გახდა ქუჩისათვის სახელის მიკუთვნების საკითხი. ერთ-ერთმა მოსახლემ ქუჩის კომიტეტის მხარდაჭერით რევაზ ლალიძის სახელი მიაკუთვნა მას. არაფრად ჩააგდეს ჩვენი გულისწყრომა და მოთხოვნა, მას დარქმეოდა დადიანის, ან კარის ეკლესიის ქუჩის სახელი. ზუსტად ჩვენს ქუჩაზე, დადიანის ყოფილ ეზოში 1924 წელს აჯანყებულთა სასაკლაო მოაწყეს და მათი სახელის უკვდავსაყოფად არ იქნებოდა ურიგო, რომ მას მოწამეთა ქუჩა დარქმეოდა.

გვინდა ამ წერილით საზოგადოების ყურადღება მივიქციოთ, რათა მოვიპოვოთ მხარდაჭერა ჩვენი ქუჩისათვის ეროვნულ ბრძოლასთან დაკავშირებული სახელის დარქმევისათვის, ანდა, უბრალოდ, აღუდგეს მას „გურჯაანის" ქუჩის სახელი.

ველით თქვენს გამოხმაურებას.

გურჯაანის ქუჩის მცხოვრებთა სახელით: გ. როგავა, ნ. ბუკია, თ. სართანია, ნ. ჩიხლაძე, ნ. ფიფია, ბ. შონია, ი. სორდია, ჟ. მანია, ვ. მანია, მ. სიმონენკო, [illegible] ევიჩი და სხვები.

მრეწველობა — 91

# საკუთარი მარკით

ცაიშის ჩაის ფაბრიკის (დირექტორი ტ. სიჭინავა), კოლექტივმა, მიმდინარე სეზონში მიიღო და გადაამუშავა 2834 ტონა ნედლეული, რომლის ძირითადი ჩამბარებლები იყვნენ: ცაიშის, ურთის, დიდინეძის, ოქტომბრის, ჭითაწყარის, ოწარიის, აბასთუმნის საზოგადოებრივი მეურნეობები.

ტექნოლოგიური პროცესების დაცვით გამოშვებულია 700 ტონაზე მეტი პროდუქცია, რომელიც მიეწოდა ზუგდიდის საწონ და ექსპერიმენტულ ჩაის ფაბრიკებს. წელს ექსპლოატაციაში შევიდა გრანულირების ხაზი, რომელიც საგრძნობ ზეგავლენას ახდენს მზა პროდუქციის ხარისხზე.

არაერთი ტექნოლოგიური სიახლე ინერგება საწარმოში. მონტაჟდება და თვის ბოლოსათვის ექსპლოატაციაში შევა ორი ნახევრად ავტომატური დამფასოებელი ხაზი, ადგილობრივი მარკით დამზადებული ჩაი პირდაპირ გადაეგზავნება მომხმარებელს, რაც გაზრდის შემოსავალს, მოგებას და დადებითად იმოქმედებს ეკონომიკაზე.

ამჟამად მიმდინარეობს ნახევარფაბრიკატის დახარისხება, პარალელურად — მზადება მომავალი სეზონისათვის.

ლერი ქირია,
მთავარი მექანიკოსი

# ტუნგის კულტურის განვითარების საკეთილდღეოდ

ტუნგი ძვირფასი კულტურაა, იგი იძლევა ზეთს და ლაქს. ტუნგის ზეთის გამოყენების ნომენკლატურაში 800-მდე დასახელებაა.

ტუნგის ზეთი შეუცვლელია სარაკეტო ტექნიკაში და წყალქვეშა გემთმშენებლობაში.

განახლებულ და დემოკრატიულ საქართველოს რესპუბლიკას სჭირდება მეტი რაოდენობით და მაღალხარისხოვანი ტუნგის ზეთი. ამიტომაც მის განვითარებას უდიდესი ყურადღება მიაქცია სრული თავისუფლებისა და სუვერენიტეტის მოპოვებისათვის მებრძოლმა რესპუბლიკის მთავრობამ. დასახულია ღონისძიებები აღდგეს ტოტალიტარული რეჟიმის დროს მივიწყებული ტუნგის კულტურის მოვლა-პატრონობის საქმე. შემუშავებულია მწყობრი და თანმიმდევრული გეგმა ტუნგის გაჟერანებული პლანტაციების აღსადგენად, მეჩხერიანობის სალიკვიდაციოდ.

იმისათვის, რომ აისახოს ნათელი სურათი ტუნგის პლანტაციებში არსებული მდგომარეობისა, გადაწყდა ჩატარდეს პასპორტიზაცია და ინვენტარიზაცია.

ჯიხაშკარის ტუნგის მეურნეობის დირექციამ დაევალა 2-3 წლიწადში შექმნას სრულყოფილი ტუნგის სანერგე მეურნეობა, რომელიც დააკმაყოფილებს ტუნგის მწარმოებელი რეგიონების მეურნეობებს და კოლმეურნეობებს. აქ სიახლე ის არის, რომ „ფორდის" ჯიშის ტუნგის გაშენებასთან ერთად ჯეროვანი ყურადღება დაეთმობა „კორდატას" ჯიშის ტუნგის მცენარის გავრცელებას.

აგრარულ-სამრეწველო გაერთიანება „საქეთერზეთმრეწვის" დირექციამ კეთილშობილური საქმე იკისრა: 1991 წლის მოსავლიდან 1 კილოგრამი კონდიციური თესლის ანაზღაურება აიყვანა 3 მანეთამდე. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ფართო გასაქანი მიეცემა მოსახლეობის მიერ საკუთარ მიწის ფართობზე მოყვანილი ტუნგის ნედლეულის შეუფერხებელ ჩაბარებას. ადრე არსებული მანკიერი წესის შედეგად ინდივიდუალურ ჩამბარებლებს არ აძლევდნენ უფლებას საკარმიდამო ფართობზე მოყვანილი ნედლეულის ჩაბარებისა, სანამ საზოგადოებრივ მეურნეობაში არ შესრულდებოდა დაყვანილი გეგმა, ამან გული აუცრუა მოსახლეობას და ტუნგის გაშენებაზე ხელი აიღეს. თუ ადრე ზუგდიდის მოსახლეობა დამამზადებელ ორგანიზაციებს 400-450 ტონა ნაყოფს აბარებდა, ბოლო პერიოდში იგი 4-ჯერ შემცირდა. ჩვენი ვალია ბოლო მოვუღოთ ამ უმსგავსოებას.

15 ოქტომბერს სპეციალური თათბირი მიეძღვნა ტუნგის განვითარების საქმეს. ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტის მოადგილემ ბატონმა პაატა ჩუხუამ და ზუგდიდის რაიონის სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ბატონმა ხოსო ლაგვილავამ საზოგადოებრივ მეურნეობათა თავკაცების ყურადღება მიაპყრეს იმას, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას აკისრებს მთავრობა საქართველოს რესპუბლიკაში ტუნგის კულტურის განვითარების საქმეს. ამასთან საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებს დაუსახეს კონკრეტული ღონისძიებანი, რათა დროულად და უდანაკარგოდ იქნას აღებული ტუნგის მოსავალი, იმ ვარაუდით, რომ 1992 წლის იანვრისათვის პლანტაციაში არ დარჩეს არცერთი საღი მარცვალი.

ზუგდიდის ეთერზეთების კომბინატის დირექცია, ყოველმხრივ მზად ხვდება სეზონს. ჩვენი დიდი თხოვნაა საზოგადოებრივმა მეურნეობებმა, სადაც „კორდატას" ჯიშის პლანტაციები ჯერ კიდევ შემორჩენილია, მინდვრად არ დატოვონ არცერთი კილოგრამი ნაყოფი. წინა წლებთან შედარებით „კორდატას" ნაყოფის ფასი გაიზრდება სამმაგად.

თათბირის ჩატარების მომდევნო დღეებში კომბინატის ძალებით მოვიარეთ ტუნგის პლანტაციების გარკვეული რაოდენობის დათვალიერება. შედეგები არასახარბიელოა. ბევრი პლანტაცია ეკალ-ბარდებისაგან არ არის გაწმენდილი, უფრო მეტიც, ზოგან ფართობები, თვით მცენარეთა ძირები არ არის გაწმენდილი სარეველებისაგან. დრო არ ითმენს, საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება.

არ შეიძლება ერთი ფაქტის გარეშე არ გავამახვილო ყურადღება. 12 ნოემბრიდან ვიწყებთ ევკალიპტის მწვანე მასის დამზადებას და გადამუშავებას. სამწუხაროდ სხვა რაიონიდან ყოველგვარი ნებართვის გარეშე შემოდიან დაუდგენელი პირები და ანადგურებენ ევკალიპტის პლანტაციებს. ბუნების დაცვის ოდიშის რეგიონალური ლაბორატორია (უფროსი გ. ხუბულავა) ჯეროვან დახმარებას გვიწევს უცხო პირებისგან ნარგაობათა დაცვის საქმეში. ჩქარა დაიწყება მწვანე დაფნის ფოთლის დამზადებაც. ჩვენი კოლექტივი დიდ იმედებს ამყარებს რაიონის საზოგადოებაზე და ელის მათ მხარდაჭერას.

ნანა კვარაცხელია,
ეთერზეთების კომბინატის მთავარი აგრონომი.

წიგნის თაროს შემატა

# ყველა ქართველის ოჯახს დაამშვენებს

შესანიშნავი საჩუქარი უძღვნა ხრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების გამომცემლობა „სარანგმა“ ქართველ საზოგადოებრიობას. მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოიცა გამოჩენილი ქართველი მწიგნობარის ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილ საქართველოს რუკათა პირველი ატლასის ძირითადი რუკის ფოტოპირი. მასზე გამოსახულია სრულიად საქართველო და მისი მეზობელი ქვეყნები 1935 წელს.

ქართველი მკითხველი მოკლებული იყო ცნობილი მიზეზების გამო საკუთარი ისტორიის მართალი ფურცლების ცოდნას, საგულდაგულოდ დალუქული იყო ვახუშტის მემკვიდრეობაც და განსაკუთრებით დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიული რუკები. ეს ატლასები ფაქტობრივად საფუძვლად დაედო კავკასიის მეცნიერულ კარტოგრაფიას და პირველწყაროს წარმოადგენდა კავკასიის შესწავლის დარგში როგორც რუსეთის, ასევე ევროპის წამყვანი მეცნიერებისათვის. აქამდე იგი ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ მეცნიერთა ვიწრო წრისათვის, რადგან ხელნაწერთა საცავებში ინახებოდა.

რუკას დართული აქვს ქართულ და ინგლისურ ენებზე შედგენილი, თანამედროვე კარტოგრაფიულ საფუძველზე გადმოცემული ვახუშტის რუკის მონაცემები.

აღნიშნული გამოცემა უთუოდ დააინტერესებს ფართო საზოგადოებას და ყველა ქართველის ოჯახის სასარგებლო შენაძენი გახდება.

# გთხოვთ, გვიპასუხოთ

სირთულე და სიდუხჭირე ბევრი გამოგვივლია და არც ახლანდელი გვაკვირვებს, მაგრამ გვაწუხებს ის, რომ ეკონომიკურ სირთულეს ითმაგად უფრო ამძიმებს განუკითხაობა, კანონების უპატივცემლობა, მშრომელი ადამიანის ელემენტარულ მოთხოვნილებათა გაუთვალისწინებლობა.

გთხოვთ თქვენი გაზეთის მეშვეობით დავსვა კითხვა და მიპასუხონ სათანადო ორგანოებმა. რა ღირს ავტობუსით მგზავრობა ქალაქის ცენტრიდან ენგურქაღალდკომბინატამდე? თუ პასუხად მეტყვით, კერძო ავტობუსები თავის ფასს ადიბენ და ვერ შევზღუდავთო, მათ ხომ შეიძლება 5-10 მანეთიც დაიფასონ; გავწვდებით კი ამას ხელფასის შემყურენი? ანდა სამარშრუტო დანიშნულების ავტობუსებში კი არის ღირებულება დაწესებული? თუ არის, გვიპასუხეთ რამდენი... და რა განრიგით ევალებათ მათ მოძრაობა?

აპოლონ ქოჩუა,
მე-13 საშუალო სკოლის მ[illegible]
წავლებელი.

რედაქტორი
აკ. ჭანტურია

# გულქვა მამებს

ხდება, შვილს ზოგჯერ მამა უკვდება
და მას იმედად არა ჰყავს იგი,
ათასი გზებით კვლავაც ივსება
ობლებისა და ქვრივების რიგი.
მაგრამ არიან კიდევ მამები,
შვილებისათვის ცოცხლად კვდებიან,
ქვეყნად დადიან მათი გვამები
ღვთის რისხვას აღარ ერიდებიან!
დიახ, დადიან... აღარ დარდობენ,
გადაავიწყდათ თავის ობლები,
ქვეყნის სვე-ბედზე ხშირად დაობენ
საკუთარ შვილთა უარმყოფლები.
გაივლის წლები, დაიზრდებიან
დედის იმედად, ჭამით ობლები,
სოფლისგან მწარედ დაისჯებიან
კაცობისა და შვილთა მგმობლები!

რ. კოზუა.

## მილოცვები, სურვილები

ქ. ზუგდიდის საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-11 კლასის მოსწავლეები მარინა ბერულავას, უსაყვარლეს მასწავლებელს; ვულოცავთ დაბადების დღეს.

იცხოვრეთ დღეგრძელად და ჯანმრთელად, სიყვარულითა და სიხარულით. არ მოკლებოდეს თქვენს სმენას ხმა ბავშვთა ჟრიამულისა. იყოს თქვენი მომავალი ნათელი და ბედნიერი.

გახსენება

# ტკივილიანი მოგონება

1989 წლის 27 ნოემბერი... ორი წელიწადი გვაშორებს ამ თარიღს, რომელმაც დიდი ტკივილი, ნაღველით სავსე მოგონება დაგვიტოვა— მოულოდნელად წავიდა ჩვენგან ბატონი ვაჟა ჩაჩიბაია, პოპულარული ჟურნალისტი, დახვეწილი ინტელიგენტი. მაღალი ღირსების პიროვნება.

უნეტარო ბავშვობას მასში ოპტიმიზმი არ ჩაუკლავს, მადლი ნიჭისა და გარჯისა არ დაუკლია. არც კეთილი ადამიანების ყურადღება დაკლებია, ომისშემდგომ რთულ პერიოდში მისი მუდმივი თანამდგომნი იყვნენ ბატონები გრიშა ჩაჩიბაია და შოთა დარასელია, რომელთა შვილობა მუდამ ეამაყებოდა.

სწავლისა და მოღვაწეობის პერიოდს სიხარული მოუტანია მისთვის და მასაც ძალ-ღონე არ დაუშურებია სიკეთის დასათესად...

თუმცა წუთისოფელი ვის აცლის, სადმე ავი ზრახვით რომ არ წამოეწიოს. აბა, რა შეიძლება ეწოდოს წამის გაელვებასავით მისი პატარა ნინოს მიერ მისი გულის გათბობას და მერე სამუდამოდ გულის მთავარი ძარღვის ჩაწყვეტას. თუმცა ცდილობდა ყოველდღიური ყოფა-ცხოვრებით შეენელებინა გულის კუნჭულში მიმალული ტკივილი, მაგრამ, ვახლაჩ, რომ ამაოდ.

სევდიანი, ნაღველით სავსე, მაგრამ მაინც შუქ-სინათლიანი მოგონება ამ საინტერესო პიროვნებაზე. მუდამ ექნებათ მადლიერ ზუგდიდელებს, ყველა იმათ, ვისთვისაც ძვირფასია სიკეთესთან შეხვედრა.

გონელი მიქენაია.

# ზიტა გულორდავა

სულ ექვსი წელი იცოცხლა ინგირის პირველი საშუალო სკოლის პირველკლასელმა ზიტა გულორდავამ და დაუტოვა გაუნელებელი ტკივილი ტოლებსა და მასწავლებელს.

წლის თავზე ზიტას საფლავთან თავს მოიყრიან მშობლები, თანაკლასელები, პედაგოგები, რათა ცრემლი აპკურონ მის სპეტაკ საფლავს, პატივი მიაგონ გაზაფხულივით გაუხუნარ ხსოვნას.

თანაკლასელები.

მეუღლე ეთერი, შვილები: ნანა, თემური, მაია, ძმა გუდალი კობახიძე, დები: ჩიტო. ეთერი. სიდედრი დონი გოგუა, რძლები: ნუნუ ჭედია, ეთერი გაბისონია, სიძეები გივი გუგუჩია. ხვიჩა ბურლაშვილი, გოჩა ჩილაჩავა, ცოლისძმა ჯანიკო გოგუა, შვილიშვილები: კუსა, თემური, თამარი, ნინო, ნოდარი, მზახლები მაყვალა ბურლაშვილი, ზაირა ჩილაჩავა, ძმისშვილები: ლალი, ბადრი, დისშვილები: მედიკო შუშანია, თიკა ქვანია, ზურაბი, ჯემალი. გოჩა გუგუჩიები, დეიდა ნაზია, ბიძია ალიოშა ჩხოლარია, დეიდაშვილები ჯემალი, ცისანა, ციალა ცერცვაძეები, მამიდაშვილები: ბოჩია, თათუშა, კარლო გუგუნავები, ბიძაშვილები: ქაქა. ძაბული, კოლია. ნანი კობახიძეები, ლილი საჯაია. ციური, მარინა, დემური ჩხოლარიები და ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან
**ნოდარ ლავრენტის ძე კობახიძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28, 29 ნოემბერს. დაკრძალვა 30 ნოემბერს. გამოსვენება 17 საათზე ქ. ზუგდიდი, დ. აღმაშენებლის ქუჩა 114.

დისშვილები ნუცა, ნორა. შოთა გერგედავები, რძალი ნათელა ცხონდია, სიძეები შაჩი კვარაცხელია, ომარ სხულუხია ოჯახებით იუწყებიან
**მიშა გუსარის ძე ციმინტიას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 28 ნოემბერს ქ. ჯვარში. გამოსვენება ციმინტიას ქ. 6-დან.

ზუგდიდის სასაქონლო ექსპერტიზის ბიურო იუწყება ექსპერტის **ჟანი ალექსანდრეს ძე თირქიას** გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დედა გული, მამა იურა, ბებია ფენია, დები: დარეჯანი, ნონა, ამალი, მარინა, მამიდები: მარგო, იზოლდა, მაყვალა, დეიდა მაყვალა ლაჭავა. სიძეები რეზო გვილავა, ტარიელ ბაკარაძე, ავთო დაჩქელავა, რამინ ალანია, ბიძები ვალოდია, ლეტრო, რენო, ჯანიკო, კობა ჯოჯუები, ტატაჩი, გივი, ვექუები, ზაურ ჯიქია, ვახტანგი ხასაია, ზურაბი ლაჭავა. მამიდაშვილები: მიმოზა, ლუიზა, ნატო, მიზანი, დალი, ზურაბი ვექუები, ახლო ნათესავები იუწყებიან
**ჭვიჩა იურას ძე ჩარგაზიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28, 29 ნოემბერს. დაკრძალვა 30 ნოემბერს სოფელ რიყეში.

დედა ინოლა, მამა ნუგზარი (ნუკრი), ძმა ბუხუტი, და ცირა, ბებია ნინა ცანავა, ბაბუცა თორია, დეიდა ეთერი თორია, მამიდები ზეინაბი, ინეზა, თამარი ცანავები, ბიძები ჯემალი, ჯამბული თორიები. ანზორი კვარაცხელია, კარლო ქირია, ანზორი წურწუმია, რევაზი კვარაცხელია, კოლია, გივი, ნოდარი, რეზო, ლექსო, ოთარი, გია ცანავები, ნიკო გეგელია, ბიცოლები: ანტისა, ტონია, ნარგიზა ცანავები, ლეილა, ირინა თორიები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**დათო ნუგზარის ძე ცანავა.**
პანაშვიდი 27, 28, 29 ნოემბერს, დაკრძალვა 30 ნოემბერს ქ. ზუგდიდში, გამოსვენება რუსთაველის 202-დან 3 საათზე.

ავეჯის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი თანაუგრძნობს რამინ ლოგუას მამის
**ნაპო ბეგლარის ძე ლოგუას**
გარდაცვალების გამო.

შვილები: ჯია, ხუტუ, ზაირა ქირიები, რძალი ლიანა კაკულია, ძმა ვალიკო დარასელია, შვილიშვილები კაკო პაჭკორია, პაატა, გია, მაიკო გულუები, ხათუნა, ირმა, გელა ქირიები, ბიძაშვილები და უახლოესი ნათესავები იუწყებიან
**ვარვარა სპირიდონის ასულ დარასელია-ქირიას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 26 ნოემბერს ს. ცაიში.

დეიდა ეთერი. ბიძა რევაზ კვარაცხელია, დეიდაშვილები ლაშა, კობა კვარაცხელიები, ალიოშა ალანია, ავრორა კვარაცხელია ოჯახებით იუწყებიან
**დათო ნუკრის ძე ცანავას**
გარდაცვალებას.

ტრისტან ჩიქობავა ოჯახით იუწყება სიმამრის,
**დიმიტრი იაკოს ძე შენგელიას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 1 დეკემბერს ჩხოროწყუში, გამსახურდიას ქ. 10.

ძმა იასონი ჯიქია, რძალი ხუტა, შვილებით ნერონი, თენგიზი, რძლებით: დარეჯანი ხარებავა, ცისანა ნაყოფია და შვილიშვილებით იუწყებიან
**ნინუცა ჯიქია-კვირკვიას**
გარდაცვალებას.

შვილი ნელი, სიძე კუკური კუკავა, შვილიშვილები ირინა. მაია, მამუკა, სიძე ამირან ჯგერენაია, შვილიშვილი დათო იუწყებიან
**ლავრენტი ბიჭოს ძე გერეხელიას**
გარდაცვალებას.

ძმა ომეხი პაპასქირი, რძალი ინეზა ლაშხია, ძმისშვილები ჯანო, მაკა პაპასქირები იუწყებიან
**ნათიკო სპირიდონის ასულ პაპასქირი-ჩანგელიას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 28 ნოემბერს წალენჯიხის ჩაის მეურნეობაში.

ზუგდიდის რაიონის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება
**დალი დავითის ასულ თოდუას**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

„სამტრესტის“ ზუგდიდის ღვინის ქარხნის კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს
**ჟანი ალექსანდრეს ძე თირქიას**
გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

ომისა და შრომის ვეტერანთა საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმი იუწყება დიდი სამამულო ომის ინვალიდის
**ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე გვიჩიას**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

დედა ლეილა. მამა დავითი, ძმა დილარი. ბებიები თინა ფუტკარაძე, ნურა ჯოპუა, ბაბუა ბონდო თოდუა, მამიდა გულნარა, დეიდები: ლალი, ლიანა ჯოპუები, ბიძები: ბორისი ჯაბუა, ლონია ხელაია, ლევანი მიმულინი, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან
**დალი დავითის ასულ თოდუას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28, 29 ნოემბერს. დაკრძალვა 30 ნოემბერს, რუხის ცენტრალურ სასაფლაოზე. გამოსვენება 4 საათზე სოფელი რუხი. ჭავჭავაძის 19-დან.

მეუღლე ქუნა, შვილები: გულვერი, ნუგზარი. ნუნუ. ზურაბი. მზია, ქეთო შამუგიები, ტანტა გრიგოლია, რძლები ლიანა ბარძემიშვილი. ნუნუ ხუნჯგურუა, სიძეები: იაშა კუპერმანოლი, ვახტანგი მალიჩავა, არველოდი სოსელია. შვილიშვილები: რუსუდანი, რომეო, როინი, მანუჩარი. ნათელა, თეა. თათია. აკაკი, ქრისტინე, დეიდა ელპიტი ჩხეიძე, ცოლისდები: ცურო, გული, ქუქუნა თორცვანიები, ნათელა, მარგო ბაჩილაძეები, ცოლისძმა ხუტა ბაჩილავა, ქვისლები შალიკო ცანავა, პიპიკო გვილავა, მიშო არქანია. ჟოლი აბაზოლი. დეიდაშვილები. მამიდაშვილები, ბიძაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან
**ნიკე (ფუშაკი) ივლიანის ძე შამუგიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 27. 28. 29 ნოემბერს. დაკრძალვა 30 ნოემბერს სოფელ ცაიში.

მეუღლე ვალია, შვილები თამაზი. რამინი. თემური. მზიური. მზევინარი, ნატო შენგელიები, და თინიკო, ძმები ლენტრო, მუშნი, რძლები თალიკო. ზაირა. კლარა მანანა, ელისო, სიძეები: ვახტანგ შანავა, ოთარ ჩანგელია. გია პერტია. თამაზ როგავა, შვილიშვილები თეა. თემო. ოთო, ლადო, რამაზი. მალხაზი შენგელიები, გოგა, ირა შანავები. ირაკლი, ნუკრი ჩანგელიები, თამუნა, თეონა, მათე პერტიები იუწყებიან
**შოთიკო თეთოს ძე შენგელიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 27. 28. 29 ნოემბერს. დაკრძალვა 30 ნოემბერს სოფელ ჯიხაშკარში.

შვილები: შურა, კოტე, შვილიშვილები: დათო, ნინო, რუსუდანი, თამარი, ნათია კალანდიები. ლოლო, ბორისი, მერაბი, ხათუნა, ბერიშვილები, ზურაბი. მერაბი. ირაკლი თორიები, რძლები: ჟუჟუნა, ვენერა საჯაიები, ლაურა თოდუა, ლუარა კანკია, ანტისა ნაყოფია. სიძეები კარლო ბერიშვილი, ჭიჭიკო თორია, დისშვილები: ვარო. ალექსანდრე, ოდენი ნარმანიები, ძმისშვილები: ჯულელი, ჭოჩუჩა. ნურა, ლამარა, ლეილა. ნაზი, შაქრო, ნაპო საჯაიები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**მალაქია ჭუზუს ძე კალანდია.**
პანაშვიდი 26, 27 ნოემბერს, დაკრძალვა 28 ნოემბერს სოფელ ორსანტიაში.

ინდექსი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-33-60. პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96. სოფლის მეურნეობის [illegible] 2-21-78 მშრომელთა წერილების 2-25-18. რადიორედაქციის 2-47-08.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. №56, ზ 28-07, ტირაჟი 6000 [illegible] შეკ. №4341,